30 ივნისი 2017წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სს „გეფა-ს" (ს/კ201991229) საოპერაციო დირექტორი, მიხეილ აბრამიძე შემდგომში „მარწმუნებელი" **ოთარ ნარჩემაშვილს** (პ/ნ 01007015722) შემდეგში „რწმუნებული", ამ მინდობილობით ანიჭებს უფლებამოსილებებს მასზედ, რომ მარწმუნებელი წარმოადგინოს და დაიცვას მისი ინტერესები საქართველოს სასამართლოებში, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ კომპანიებში, ორგანიზაციებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.

ზემოაღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება, საჩივარი ან/და სარჩელი სასამართლოში, სხვადასხვა კომპანიებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, პერსონალურ მონაცემდა დაცვის ინსპექტორის აპარატში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციოდ წარადგინოს სხვადასხვა დოკუმენტები და ნახაზები, გამოითხოვოს ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ, მოითხოვოს საჯარო რეესტრის ამონაწერებში ცვლილების რეგისტრაცია, გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს ასლები, ჩაიბაროს სასამართლო გადაწყვეტილებები, სააღსრულებლო ფურცელი, გამოითხოვოს საქმის მასალები, წარადგინოს შუამდგომლობები და მტკიცებულებები, გადასახდევინებლად წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, საქმე დაასრულოს მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლო დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განჩინებები. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

მიხეილ აბრამიძე

_____

საოპერაციო დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0108, სანაპიროს 6
0108, Sanapiro Ave. 6, Tbilisi, Georgia
Tel: +(995 32) 911 900; +(995 32) 940 740
gepha@ge-pha.com www.ge-pha.com